წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 10 კ. | ტელეფონი № 76 | ხუთშაბათი 22 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისში [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი [illegible] 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] 2 მან. 5 მ. [illegible]

№ 60 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 60

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

19 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება

ცოდვისა და სისხლის ხალხი

დღიურ პრო-გრამიდან მონ. ა. ი. ტერეკი და სხვა.

მოტყუებული ქუნწი. სახუმარო.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

19 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება

მეუღლე თუ დედა?

2 სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. ვერმანოვისა, ბრისკვისა და რიმსკისა.

მოსამსახურე №3 კომედია 2 ნაწ. სკანდალინის მონაწ..

ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

საზაფხულო შენობა.

ანონსი: 22 ივნისს 1917 წ. ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

გაყიდული დიდება

მხატვრული დრამა 6 ნაწ. ლ. ნიკულინის სცენარიუსობით.

---

ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ) დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

---

წიგნის გამომცემლობა განათლება ქუთაისში

ამ ჟამათ იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა ის ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანაძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. 1 კლ. ( ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ 2 კლ. ( ს. დათეშიძისა და
8) „ „ „ 3 კლ. ( ალ. მგალობლიშვილისა.

**მზადდება გამოსაცემად.**

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.

ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. 1 და 2 კლ. ( შედგ. ქუთ. ქართული
„ „ „ „ 3 და 4 კლ. ( გიმნაზიის მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.

პირველდაწყებითი ალგებრა მე-3 და 4 კლ. კურსის ს. ოცხელისა.

გეოგრაფია ივანოვისა 1 კლ. კურსი (თარგმანი)

ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშკოლო გამოცემა).

მიღებულია აგრეთვე სხვადასხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

მისამართი: ქუთაისი, ქართული გიმნაზია წიგნის გამომცემლობა „განათლება“.

---

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



ხუთშაბათს 21 ივნისს 1917 წ. გაიმართება სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო ხელოვნებისაგან. გასტროლები გამოჩენილ ბელგეთის დასისა

5 კლიკეტი,

33 დღეა ქალთა ფრანგული ჭიდაობა.

დღეს იჭიდავებს 4 წყვილი:

1. ქალბატონი ვასტუროვა და იანკოვსკაია. 2. რიურიკი და ივორი. 3. ბელანი და მანკო. სულეიმანი და რობინსონი. დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი: მზადდება გრანდიოზული ბენეფისი ხუმარასა ფლორენსის და კრისტის.

ამ მოკლე ხანში ჩამოვლენ გამოჩენილი მოჭიდავე ქალები ლუცია და ჰილდია.

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე— ვინ უნდა გადასწყვიტოს მიწის საკითხი და სად?
გ. გვაზავა —პირველი ისარი.
ირ—დი—გზა ჯვარედინი.
მ. ბუაჩიძე —საქმეების წარმოება.
სანტ —სასურსათო ყრილობა
ქართული და რუსული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. ეროვნული კითხვა. მსოფლიო ომი. რუსეთი, სომეხთა ეროვნული ბიურო. ალ. გარსევანიშვილის ლექციები. ახალი ამბავი.

## ხელის მომწერთა — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული. უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტგენშტეინის სახლი

დოქტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

გამოცდილი მასწავლებელი

**(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.**

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

## ვინ უნდა გადასწყვიტოს მიწის საკითხი და სად?

ამ ახლო მომავალში მთელ რუსეთში და კერძოთ საქართველოშიც ძირითადი განახლება უნდა მოხდეს. ეს განახლება მოითხოვს საჩქარო პოლიტიკურ და ეკონომიურ რეფორმებს. როგორი რეფორმებია საჭირო, როგორი წესწყობილება უფრო ხელსაყრელია და უფრო სასარგებლო იქნება კარგი მომავალისთვის, ამაზე ზრუნვა მართებს ყოველ მოქალაქეს. ამ საგანზე ზრუნავს ყველა პოლიტიკური პარტია. სხვა საყურადღებო საკითხებს შორის არის მიწის საკითხი, რომლის სისწორით გადაწყვეტა რამდენადაც საჭიროა, სამწუხაროდ, იმდენად ძნელია. შეცდომა ყველგან სახიფათოა და ამ საკითხში მაინც გაცილებით უფრო საშიშარია.

ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები ორნაირად სწყვეტენ მიწის საკითხს. სოციალისტურ პარტიებს უნდათ მიწა გაასაზოგადონ, მუნიციპალიზაციის სახით იქნება თუ სოციალიზაციის, სულ ერთია. არა სოციალისტურ პარტიას უნდა მიწის საკითხშიც საკუთრების პრინციპი დაიცვას. ასეა თუ ისე, მიწის საკითხი უნდა გადაწყდეს. ის განაწილება მიწის და ის მდგომარეობა, რომელიც დღესაა შეუცვლელად არ დარჩება, მხოლოდ საქმე ისაა, ეს შეცვლა წარმატებას მოგვცემს, თუ ზარალს გამოიწვევს. სანამდი გადაჭრით ვიტყოდეთ, როგორ უნდა მოწესრიგდეს ჩვენში მიწის საკითხი, საჭიროა გავითვალისწინოთ, ვინ უნდა გადასწყვიტოს მიწის საკითხი და სად?

თუ საერთო მიმდინარეობას მივყევით, როგორც სჩანს, განზრახვაა, რომ ეს მთავარი საკითხი ჩვენი ეკონომიური ვითარებისა, გადასწყვიტონ **რუსეთში**, დამფუძნებელი კრება იქნება ის, თუ სხვა სახელწოდების საკანონმდებლო დაწესებულება; უნდა გადასწყვიტონ კრების წევრებმა, სადაც 99 პროც. არა ქართველი იქნება.

შესაძლებელია ეს? მოსალოდნელია რამე საიმედო შედეგი, თუ ასე იქნა?

სრულებით არა, და აი რატომ.

კანონი იქნება ხალხისთვის. კანონის დამწერს გათვალისწინებული უნდა ქონდეს იმ ხალხის დამახასიათებელი თვისებები, რომლისთვისაც ეს კანონები იწერება და იმ ადგილის პირობები, სადაც ის ხალხი ბინადრობს. ერთი სიტყვით საჭიროა კანონმდებელმა კარგათ იცოდეს ვისთვის, რა დროისთვის და რა ადგილისთვის ადგენს კანონებს. აი ასეთ პირობებში შესაძლებელია შესაფერი კანონები შემუშავდეს და ცხოვრებაშიც გამოდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონები ქაღალდზე დარჩება და ცხოვრებაში ვერ გატარდება. თუ ამ საერთო დებულებას სახეში მივიღებთ და ზემოთ დასმულ საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ პასუხი ადვილია. საქართველოს მდგომარეობა რუსეთისაგან არსებითად განსხვავდება. რუსეთში მიწა ბევრია, ჩვენში ცოტა; მსხვილი მემამულე რუსეთში ხშირია, ჩვენში იშვიათი; წვრილი მიწის მესაკუთრე გლეხი რუსეთში თითქმის არ არის, ჩვენში პირიქით თითქმის ყველა მესაკუთრეა. მიწის საკუთრებას რუსეთში და ჩვენში გლეხი ერთნაირად არ უყურებს. ჩვენში გლეხი მიჭედილია საკუთარი მიწის ნაკვეთზე. სამოსახლო და ეზო გარემო, ბოსტან-ვენახი ეს მთელი არსებაა ჩვენებური გლეხისა. ამ საკუთრებას, მით უმეტეს თუ ცოტაა, თავგამოდებით უვლის ყველა. რგულებით შემოვლა, სარაგვით გამშვენება, ნერგებით და ბაღის ხილეულობით მორთვა, დანოყიერება, შემხადება, შელამაზება, შეკაფ-შემოკაფვა, სხლტის გაშენება და ამისთანაები სავსებით იპყრობს გლეხის ყურადღებას და ეს ისე აახლოვებს მუშა კაცს საკუთრებასთან, რომ თითქმის განუშორებლად ითვლება. ფულს, ოთხფეხს, შენობას და ყოველგვარ ნივთს განშორებით უფრო ადვილათ შეელევა გლეხი ვინემ მიწას. დამახასიათებელი მოვლენაა ისიც, რომ როცა მიცვალებულ გლეხს სახლიდან გამოასვენებენ, შინ ურები იმას დასტირიან, რომ ეზო გარემო და შენი ვენახი გრჩება, ოცნებით გატაცებული ჭირისუფალი მიცვალებულს დასძახის, ერთი გადმოხედე შენს ვენახს, შენს ბოსტანსო. ამ სიტყვებში იმარხება მესაკუთრეობის საიდუმლოება. ეს მოვლენა ჩვენშია საყურადღებო და რუსეთისთვის ეს უცნობი ხილია. ჩვენებურად მოვლილი სამოსახლო და ეზო-გარემო რუსეთში სრულებით არ არის. მე სიმდიდრეზე არ მოგახსენებთ და არც სივრცე მაქვს სახეში. მე ხაზს ვუსვამ იმ განსხვავებულ თვისებას, რომელიც ჩვენში აქვს მიწის მესაკუთრეობას და რუსეთში არა. თუ დაუკვირდებით ჩვენს მეურნეობას და ჩვენი გლეხის სულის-კვეთებას, ცხადად დავრწმუნდებით, რომ რუსის გლეხი ადვილად მოშორდება მიწას, ადვილად შეიცვლის სამოსახლო ბინას, ადვილად შეელევა მიწას და ქართველი გლეხი კი არა. ქართველი გლეხი მთელი თავისი არსებით დაკავშირებულია მიწის საკუთრებასთან და რუსის გლეხი სრულებითაც არა. ნუ თუ ახალი კანონის შემუშავების დროს ყოველივე ეს სახეში არ უნდა მივიღოთ? და თუ საჭიროა, რომ ყოველივე ეს სახეშიც მივიღოთ და მკაფიოდაც გავითვალისწინოს, მაშ ხომ საჭიროა, რომ ყოველივე ეს კარგად ვიცოდეთ და იცოდენ მათ, ვისაც ევალებათ მიწის საკითხის გადაწყვეტა.

სამწუხაროდ რუსეთში არა თუ უმეტესობა, არა თუ სოფლები და ქარხნებში მომუშავენი ვერ იცნობენ საქართველოს, თვით ინტელიგენციის შორისაც იშვიათია აქაური ცხოვრების მცოდნე.

ამიტომაც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დამფუძნებელ კრებაზე 800 არა ქართველთა შორის ერი მესედიც არ იქნება საქმის კარგათ მცოდნე პირი. იმის იმედი, რომ იქ—კრებაზე— ყველას გააგებინებენ საქმის ვითარებასო, ძლიერ სუსტი საბუთია. მაშასადამე, შესაძლებელია ერთი საერთო კანონი დადგეს მიწის შესახებ მთელ სახელმწიფოში? სახელმწიფოს შემოხაზულების მთლიანობა, განა ტერიტორიის და ცხოვრების პირობების ერთნაირობას გულისხმობს? სრულებითაც არა.

ამიტომ აუცილებელია მიწის საკითხი საქართველოს შესახებ გადასწყდეს **აქ**, ისევ **საქართველოში**, უნდა გადასწყვიტონ თვით **ქართველებმა**, მცოდნე პირებმა, რომელნიც ანგარიშს გაუწევენ სინამდვილეს და არა სხვადასხვა თეორიებს.

ამას მოითხოვს სამართლიანობა და საქმიანობაც. აქ გადაწყვეტილი საკითხი, აქ დამუშავებული რეფორმა საბოლოოდ სახელმწიფოს საერთო საკანონმდებლო დაწესებულებაში დასტურს მიიღებს და ამ წესით დამტკიცებული ცხოვრებაშიც გატარდება და კიდეც გამოდგება.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დიდი შეცდომა, მოსალოდნელია საერთო კრებაზე ისე გააერთიანონ საქართველოსა და რუსეთის შესახებ საკითხები, რომ ყოველგვარ არსებით განსხვავებას გვერდი აუარონ და შეუფერებელი რეფორმა დააკანონო ასეთი რეფორმა არა თუ წინ არ წაგვწევს, უარეს მომავალსაც მოგვიტანს.

აუცილებელია ყველა პარტიის წარმომადგენლები შეიკრიბონ გლეხებისა და სხვა კავშირების წარმომადგენლებთან ერთათ და ამ საკითხის შესახებ საფუძვლიანი მსჯელობა იქონიონ.

აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს მიწის შესახებ ყოველი ადგილობრივი პირობა დადგენილება საქმის სინამდვილესთან იქნეს შეკავშირებული. დაუმწიფებელი პროექტებით და ცალმხრივი რეზოლუციებით წესწყობილებას ვერ ავაწგრევთ და არც უნდა დავანგრიოთ, თუნდა იმ პროექტებსა და რეზოლუციებს კონფერენციის ძალიც ესვას.

ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო, ამბობს ბრძნული ქართული თქმულება და მართლაც ამ საკითხის შესახებ ბევრი ფიქრი და მსჯელობაა საჭირო, რომ სა-

ქმე არ წახდეს. დავრწმუნდეთ და სხვაც დავარწმუნოთ, რომ მიწის მფლობელობის რეფორმა რუსეთსა და საქართველოში ერთნაირი არ ივარგებს.

თუ არსებითად შევთანხმდებით, რომ მიწის საკითხი **ჩვენ ჩვენში** უნდა გადავწყვიტოთ, მერე მოვიფიქროთ, როგორ განვახორციელოთ ეს გადაწყვეტილება.

ამ საგანზე აზრების გაცვლა-გამოცვლა ფრიად საჭიროთ მიგვაჩნია.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## პირველი ისარი.

(გაზეთ „ბაკუს“ საპასუხოდ)

რუსეთის დიდმა რევოლუციამ წამოაყენა ლოზუნგი ერთა განთავისუფლებისა. ვინც თანაუგრძნობს რევოლუციას, ვინც გულწრფელი მომხრეა განახორციელოს მისი მაღალი იდეალები, მას არა აქვს არავითარი ლონე გვერდი აუხვიოს ეროვნულ საკითხს. მარა რევოლუციას, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მტრები ჰყავს: ბევრი ისევ წარსულს ეპოტინება, წარსულ რეჟიმს, წარსულ ძალადობას. წარსული წესწყობილება, რეჟიმი მათრახის და უფლება აყრილობისა, მათთვის უფრო ძვირი და ხელსაყრელი ყოფილა, რა საკვირველია, ეს ანტირევოლიუციონური ელემენტები პირდაპირ ბრძოლას ვერა ბედავენ, მარა ჩუმ-ჩუმად, მხედლურად და ვერაგულად, ძირს უთხრიან ისეთ დიად იდეას, როგორც არის ერთა თვით-გამორკვევა, ერთა თავისუფლება.

აგრე იქცევა ჩვენში „ცნობილი“ თანამემამულე ბ-ნი ვერმიშევი. მის გაზეთ „ბაკუში“ მოთავსებული ყოფილა წერილი ვიღაც ბულგაკოვისა საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ. ყოველი ფრაზა ამ წერილისა, როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულად ყოველ სიმართლეს მოკლებულია. აი მაგალითებიც.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატების პროგრამაში ნათქვამია: „ქართველი ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას„, მგონი, აქ აზრი ნათლად და მკაფიოდ არის გამოთქმული; მიუხედავად ამისა, ბ-ონ ბულგაკოვს ეს აზრი ვერ გაუგია ან არ უნდა გაიგოს და მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ქართველი ერი ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა დამარცხებულიო და ხშირად შინაური არეულობაც განუცდიაო. მერე რა? რა შუაშია აქ ან დამარცხებანი, ან შინაური არეულობა?! განა დამარცხებანი, და შინაური არეულობა იმის ნიშანია, რომ ისპობა სახელმწიფოებრივი ცხოვრება?! განა თვით რუსეთს არ განუცდია მრავალი დამარცხება და შინაური არეულობა. მარა ამით მისი სახელმწიფოებრივი ხასიათი არ მოსპობილა და არც მოისპობა. საქმე დამარცხებასა და არეულობაში კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ ეჭვს გარეშეა ის დებულება, რომ საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. მაშასადამე ქართველი ერი სრულებით მომზადებული და სრულებით განვითარებული ერია იმისთვის, რომ თვითვე წარუძღვეს თავის საქმეებს. —იმას ბრამკითხე ოპეკუნები არა სჭირია. საქართველო შემოუერთდა რუსეთს არა იმისთვის, რომ ოპეკუნები და კაპიტანისპრავნიკები გამოეგზავნა, არამედ სულ სხვა მიზნით, სულ სხვა განაზრახვით. ეს მიზანი და განზრახვა ჩამოყალიბებულია 1783 წლის ხელშეკრულობაში.

ბ. ბულგაკოვის აზრით, ამ ხელშეკრულობასაც აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მეფე გიორგი XIII, ამბობს იგი, ჰქონდა ისეთი მოლაპარაკება რუსეთთანო, რომ ეს ხელშეკრულება გაუქმებულად უნდა ჩაითვალოსო. თუ ეს მოსაზრება იურიდიულია, ნეტავ ბ-ნ ვერმიშევს, რომ ამისთანა იურისკონსულტები ჰყოლია. სამწუხაროდ უნდა შევჩერდეთ ამ იურიდიულ ანაბანაზედ. ხელშეკრულება არის იურიდიულად დამთავრებული აქტი: იგი ხელმოწერილია, ბეჭედდასმული და უმაღლესად დამტკიცებული (რატიფიკაცია). მოლაპარაკება კი არის მხოლოდ ლაპარაკი. როგორ მოხდა, რომ საერთაშორისო აქტი, როგორიც არის 1783 წლის ხელშეკრულება, უცებ გაუქმებულა ლაპარაკით?! მერე თვითონ ბ. ბულგაკოვი ამბობს, რომ რუსეთის მეფემ ეს ლაპარაკიც თურმე შესწყვიტა, არც კი დაამთავრა, და პირდაპირ მოაწერა ხელი საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტსო.

აქედან აშკარაა, რომ ამ მოლაპარაკებას არავითარი უფლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და არა ჰქონია არც ჩვენთვის, არც რუსეთისთვის; რუსეთის იმპერატორმა ეს ლაპარაკი თვითონ შეაწყვეტინა და თვითვე თავის ნებით გამოსცა თავისი მანიფესტი. მაშასადამე, ჩვენა გვაქვს ბოლოს და ბოლოს ორი ისტორიული აქტი: ერთი — ხელშეკრულება 1783 წლისა და მეორე—მანიფესტი 1801 წ. პირველში აღნიშნულია საქართველოს პოლიტიკური უფლებანი მეორეში—უარყოფაა ამ პოლიტიკურ უფლებებისა ე. ი. დარღვევა ხელშეკრულებასა. აქედან დასკვნა თავის დავად ცხადია. ან რუსეთი დაიღუპება ერთიანად, ან უნდა დაადგეს სამართლიანობას საერთაშორისო განწყობილებაში. აქ ორჭოფობა შეუძლებელია.

მაგრამ ბ. ბულგაკოვი ჰკოჭლობს არა მარტო უფლებრივ საკითხებში, იგი ძალიან სუსტია უბრალო სტატისტიკაშიც, ვისარგებლოთ იმ სტატისტიკით, რომელიც ეხლახან წარმოადგინა ბ-ნ გრუზენბერგმა ამიერ-კავკასიის სავანგებო კომიტეტში. ბ. გრუზენბერგი არ არის ქართველი, იგი უცხო პირია და მისი სიტყვა შეიძლება უფრო მისაღები იყოს. აი, მისი გამოანგარიშებით რა პროცენტს შეადგენს ქართველობა საქართველოში:

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის გუბერნიაში | | 95, 2%—99%/ |
| ბათომის ოლქში | – | 86,8 „ |
| სოხუმის ოლქში | — | 83,4 „ |
| გორის მაზრაში | | 93 % |
| დუშეთის „ | – | 96,2 „ |
| სიღნაღის „ | – | 84,4 „ |
| თელავის „ | — | 90,3 „ |
| თიანეთის „ | — | 89,4 „ |

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ ნაწილებს, აიღეთ თუნდაც კავკასიის კალენდარი (1917 წ.) და თქვენ დაინახავთ, რომ თბილისის მაზრაში ქართველობა შეადგენს 96, 040 სულს (სომხობა 26. 044 სულს); ახალციხის მაზრაში ქართველობა (ქრისტიანი და მუსლმანები) შეადგენენ 48. 084 სულს, (სომხები კი 4. 500) მხოლოდ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში სომხები სჭარბობენ ქართველებთან შედარებით. მარა განა შეიძლება აგრე ნაწილაკებად აღება საქართველოს ამა თუ იმ კუთხისა?! უნდა აიღოთ საქართველო როგორც საქართველო, და მაშინ დაინახავთ, რომ იგი მთლიანია, როგორც ტერიტორია და როგორც ერი. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ეხლანდელი სტატისტიკა შედგენილია იმ მთავრობის მოხელეებისგან, რომლის ერთად-ერთი პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში იყო ქართველი ერის განადგურება. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქართველი ერი თავის ტერიტორიაზე შეადგენს არა ნაკლებ 85 პროც. მთელი მოსახლეობისას და უცხო ელემენტი. მასში არ აღემატება 14—15 პროც.

ამიტომ ქართველობა წარმოადგენს მთლიან ერს და უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია. ამ მხრივ ავტონომიის საფუძველი შეურყეველია.

მარა—როგორ მოეწყობიან ის უმცირესობანი, რომელნიც ეკუთვნიან სხვა ეროვნებასაო; გვეკითხება ბ. ვერმიშევი ბულგაკოვის პირით.—სწორედ ისე ბატონო, როგორც არიან მოწყობილი შვედები—ფინეთში, ებრაელები პოლონეთში, ფრანგები—ონტარიოში ან ბურები —კაპში. განა ეს მოსაზრება მოსატანია ავტონომიის წინააღმდეგ?! საქართველოს ავტონომია უნდა დამყარდეს აუცილებლად, და რაც შეეხება უმცირესობას, რასაკვირველია, მათი ეროვნულ-კულტურული უფლებანი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავტონომიის ძირთადი სტატუტით.

სწორედ აქ უნდა გაეწია ბ. ვერმიშევს სამსახური. თელაველი მემამულე, საქართველოს დედა-ქალაქის მოურავად ყოფილი, იგი თვის დაბადებითვე შეკავშირებულა საქართველოს ბედთან; მიუხედავად იმისა, იგი მაინც წინააღმდეგია იმ ქვეყნის აღდგენისა, რომელმაც მას მისცა სიცოცხლე, ბინა და განვითარება. რათა? დამერწმუნეთ, თქვენი ჩლუნგი და ჟანგიანი ისრებით საქართველოს არა დააკლდება რა, მხოლოდ საქმეს ამწვავებთ და ეგ კი ეხლანდელ მომენტში არ ეპატიება არავის („საქართველო“).

**გიორგი გვაზავა.**

## გზა ჯვარედინი.

ქართველთა ფსიხიკის გამოცნობა და ბუნების რეალად დახასიათება მეტად ძნელი საქმეა. პოლიტიკურ თვითარსებობის ხანაში ქართველი კაცი თავის ქვეყანაში მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა. ძლიერი მეომრები აისხამდენ ხმალ-აბჯარს და უცხოეთში მიემართებოდენ თავის სასახელოთ და ვაჟკაცურ ენერგიის დასახარჯავათ. წარსულში ქართველები „სხვის პატივისცემის“ გზას ადგენ. იმას თუ არ ჭამა და ეწყინა, ასეთი რამ ღმერთმა ნუ მოგაქმედინოს“აი აღსარება ქართველისა.

ეს იყო ცალკე პიროვნებათა სახელმძღვანელო სიტყვები. მას იმეორებდა მთელი ერი. საკუთარ სახელმწიფოს არსებობის დროს ქართველი მუდამ გულგახსნილი ხვდებოდა ყოველმხრიდან მოვლენილ სტუმარს და მოყვარეს. მისთვის სიფრთხილე, შიში არ არსებობდა. სხვისთვის თავგანწირვა, უცხო ტახტების გახარება მამოძრავებელ ძალად ჩამჯდარიყო ჩვენს ძვალსა და რბილში.

შორეულ მხარეებში ჩვენს ძალა-ნიჭს თაყვანსა სცემენ.

მაგრამ ვიკითხოთ, როგორი ვართ ამ დროს შინ საკუთარ სახლში?

დიდის გამბედაობით ვჭექთ სამშობლოს გარე, უცხო ქვეყნის შინაურ თუ გარეშე მტერს თავზარსა ვცემთ და ქედს ვახრევინებთ, ამავ ჟამს საკუთარ სამშობლოსთვის ნების ყოფა ჩაფერფლილი გვაქვს, გამბედაობა და დამოუკიდებელი მოქმედება მოდუნებული.

გმირი მეფე, ერეკლე მეორე სულ იმის ცდაში იყო, რომ სხვისთვის არაფერი ეწყენინებინა. ამის გამო ვერც ერთს გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ სდგამდა.

განა ასე არ არის აწინდელი საქართველოშიც? ბუნებით მამაცნი, სამშობლოში ვერ ვიჩენთ საკმაოდ ენერგიულ და გარკვეულ მოქმედებას ჩვენი საკუთარი ერის ინტერესების სასარგებლოდ. ჩვენი ხმა ქუხს ყველგან, მაგრამ ამით ჩვენი ბედის წისქვილი ოდნავ ბრუნდება.

რუსეთმა დიდი ცვლილება გამოიარა. მომხდარმა ამბავმა პატარა საქართველო გზა-ჯვარედინზე დააყენა. ჩვენს სამშობლოს ხომალდზე ქართულ მისწრაფებებით ზიარებული მესაჭენი არ მოგვევლინენ.

დღეს, როგორც ადვილად ღორძინდებიან ერები, ისევ ადვილად ილუპებიან.

ეს ხანა მოითხოვს უდიდეს დაკვირვებას, დიპლომატობას და მიზან შეწონილ გამბედაობას.

ჩვენ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ ვააშკარავებთ. მღელვარებას უიალქნო გემსავით მოვყავართ თავის ნებაზე.

სანამდი უნდა ვუმზიროთ ჩვენი ერის პოლიტიკურ ცხოვრების ასეთს მიმდინარეობას?

ნუ თუ დასასრული ამ ტრაღედიისა არ გამოჩნდება?

რევოლუცია რუსეთის ხალხმა ახალ სასურველ ცხოვრების შესაქმნელად მოახდინა. რუსეთის ერებს ერთი საათიც არ გაუცდენიათ, ისინი შეერთებულის ენერგიით და ერთსულოვნობით აგებენ შენობას ახალის ცხოვრებისას, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევის დროს ყოველ გვარად მზად იყვნენ.

ჩვენ წინადაც ვსწერდით და ეხლაც ამას ვქადაგებთ, რომ როგორმე მოვახერხოთ და შევერთდეთ საქართველოს თავისუფლების იდეის გარშემო. დღევანდელი მდგომარეობა და პოლიტიკური პირობები ჩვენგან ითხოვენ ინტერპარტიულ აზრს საერთო მოთხოვნილებათა, საერთო სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

რაც უნდა სამართლიან შემადგენლობით წარმოვიდგინოთ მომავალი დამფუძნებელი კრება, თუ მას გარკვეული აზრი და მოთხოვნილება არ წარვუდგინეთ, ცხადია, იგი ვერაფერს მოგვანიჭებს.

ჩვენი ხალხი ვერ არის მომზადებული მიმდინარე ამბებისთვის. იგი არ გვყავს წესიერად დარაზმული და სათანადო შეგნებით აღჭურვილი.

დღეს გვჭირია დიდი აგიტაციის გაწევა, რომ სრულიად საქართველოს ხალხი ერთ მთლიან ერთეულად გამოვიყვანოთ. ძნელი დართულია აწინდელი ყოფა, უფრო სამძიმო იქნება ხვალინდელი დღე, თუ ჩვენს თავს არ მოუარეთ. ერის ინტერესი გვიბრძანებს, რომ ქვეყანა გზაჯვარედინს გადავაცილოთ და განახლების გზაზე დავაყენოთ.

ამისთვის შეერთებულ ძალით უნდა ავმოქმედდეთ.

ორგანიზაციული, შეკავშირებული, საჭირო შეგნებითა და წინდახედულებით გამსჭვალული მუშაობა, აი ეს იქნება საქართველოს ბედნიერ მომავლის თავდები.

**ირ—დი.**

## სასურსათო ყრილობა.

აწინდელ გარდამავალ ხანისათვის ერთ უმწვავეს და უმძიმეს მომენტს სურსათის კრიზისი წარმოადგენს. ყოველგვარი მისწრაფება და კეთილ დღეობისთვის ბრძოლა პურზეა დამოკიდებული. დღეს დიდ რუსეთს სანოვაგე საგრძნობლად დააკლდა.

წლიურ სტატისტიკის მიხედვით მომქმედ ჯარს წელიწადში სჭირდება 120 მილიონი ფუთი პური.

პურის ბელელი უკანასკნელ დროს წინა წლებთან შედარებით 300 მილიონ ფუთით ნაკლებს იძლევა. ცხადია, ასეთ გარემოებაში შიმშილი საგრძნობი უნდა ყოფილიყო. უფრო უნუგეშოა მომავალი წელი. აგრალულმა ექსცესებმა დიდძალი მამული დაუთესი დასტოვა, მაშასადამე, პურის მოსავალი კიდევ უფრო იკლებს.

ასეთი მდგომარეობაა რუსეთში და იქ ფხიზლად ებრძვიან საშიშ მოსალოდნელობას.

განახლებულმა მთავრობამ მრავალი ორგანიზაცია შექმნა.

კავკასია განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. უკვე გამოანგარიშებულია, რომ კავკასიაში პურის ხარჯის უკადურესად შემცირების დროსაც კი პურის დანაკლისი 29 მილიონ ფუთით აღირიცხება.

მწარე ყოფაშია აგრეთვე საქართველო. ქუთაისის და თბილისის გუბერნიები უკვე განიცდიან ერთგვარ შიმშილს. უმუშა ხელოთ დარჩენილი ქართული სოფელი სიმშილის მსხვერპლი შეიქმნება, თუ რადიკალი ზომები არ იქმნა გამონახული. გვჭირია დიდი მუშაობა, საერთო თადარიგი, რომ ამ მსოფლიო სისხლის ღვრის დროს კიდევ მეორე უბედურება არ დაგვატყდეს თავზე. ამ მოკლე დროში ქ. თბილისში მოხდება საოლქო სასურსათო კომიტეტების ყრილობა. ამ ყრილობაზე გვმართებს ჩვენი მდგომარეობა სრულის სინამდვილით წარვადგინოთ და გამოვიჩინოთ პრაქტიკული საქმიანობა, თორემ უპუროთ რაიმე კეთილ მომავალზე ფიქრი ყოვლად უსაფუძვლოა.

ამ ყრილობამ უნდა შეკრას მტკიცე ორგანიზაციები. ხსნას მხოლოდ სასურსათო კომიტეტებში არ უნდა ვხედავდეთ.

საჭიროა პურის მოსავალს მიექცეს მთავარი ყურადღება.

**სანტ.**

## საქმეების წარმოება.

მეოთხე თვეა, რაც თავისუფლებაში ვართ. სანეტარო თავისუფლებამ ენაც აგვიდგა და ხელ-ფეხიც გაგვიხსნა. ჩვენ ბედში მყოფნი ერები რევოლუციის პირველ დღეებშივე დაეწაფენ თავისუფლების სიტკბოებას და შინაურ ცხოვრებას თავის გემოზე დაუწყეს მოწყობა. ჩვენ კი, ლენინით გაბრუებული კაცივით, დღემდისაც ვერ გამოვფხიზლებულვართ და თავისუფლების თანდათანობით ცხოვრებაში გატარება ვერ მოგვიხერხებია. ავიღოთ, მაგალითად, სასამართლოებში საქმის წარმოება. სასამართლოს უმაღლეს ინსტანციას, სადაც ჯერ ჯერობით ისევ ძველი მოსამართლეები სხედან, თავი დავანებოდ და სულ უბრალო სოფლის კომისარიატში შევიხედოთ. სასოფლო კომისარიატში, როგორც უწინ ისე ეხლაც, ყველა მოხელეები გარდა მწერლისა სრულიად რუსული ენის უცოდინარნი არიან დასაქმეებს კი ამ გაუგებარ უცხო ენაზე აწარმოებენ. უბრალო კაცის დასაბარებელ ბარათსაც და საუწყებო ცნობას კომისარი რუსულად აწერიებს თავის საქმის მწარმოებელ მწერალს. საყველ-პურო რუსულის მცოდნე პირს ერთიორად მეტ სასყიდელს აძლევენ ახალი მთავრობის წარმომადგენლები. სასამართლოებიდან ჩვენი თავისუფალი ეკლესიის მოსამსახურეებზე გადავიდეთ. როგორც ძველი მთავრობის დროს, ისე ეხლაც, ყოველ გვარ მიწერ მოწერას და საეკლესიო საბუთებიდან სხვადასხვა ცნობებს რუსულ ენაზე აძლევენ მთხოვნელებს მღვდლები. უნებლიეთ ეკითხები შენ თავს რისთვის და რად ჩაგიან ამას ჩვენი ღვიძლი ძმები და შვილები?

ნუ თუ მომენტის სიდიადე მათ ვერ შეიგნეს და თავისუფლებას, რომელსაც ბევრმა ჩვენმა საუკეთესო წინაპრებმა სიცოცხლეც კი შესწირეს, ასე ამგვარად აფასებენ? უფიქრდები ყველა ამას და გული გიკვდება. ასი წლის დამშეული და დაწყურებული ერი, საკუთარ სახელს მოკლებული, გაყვლეფილ-დამონავებული, თუ კი საპყრობილის კარების გაღებას ელირსებოდა, ვფიქრობდით, სატუსაღოს მიტოვების ჟამს მარდათ და სწრაფათ გაეშურებოდა კარებისკენ გამოსასვლელად, მაგრამ საუბედუროდ ეს ასე არ ხდება. ეს რომ ასე არ ხდება, იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენი „მოპარუსკე“ კაცების, განსაკუთრებით ქალების, რიცხვი კი არ კლებულობს ამ თავისუფლებისა და თვით გამორკვევის ჟამს, პირ იქით მატულობს. დეე, რუსულათ ლაპარაკმა თქვენი ჭირი წაიღოს, ეს მაინცა და მაინც მდაბიო სოფლელ ხალხს იმდენ ზიანს არ უტანს, რამდენათაც თითონ მოლაპარაკეს არცხვენს შეგნებული ქართველის თვალში, მაგრამ სამმართველოებში საქმის რუსულად წარმოება კი ერთობ დიდ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ჩვენი ქვეყნის სოფლის ხალხს. ბატონებო, სოფლელ ხალხს რაიმე რეალური თვალ საჩინო საშუალებით შეატყობინეთ, რომ თავისუფლება დადგა. რა თავისუფლებაა, თუ მომრიგებელი მოსამართლისაგან გამოგზავნილი რუსულად დაწერილი უწყების წასაკითხავად მთელი დღე სოფელში ირბინა გლეხმა? სანამდის ან თავის მოძღვარს ნახავდეს და ან კომისარის მწერალს, მას თავისი გადაუწყდება და მერე გინდა წაუკითხეთ და გინდა არა.

სკოლების ნაციონალიზაციას თუ ვახდენთ, რატომ სასამართლოს ნაციონალიზაციისათვისაც არ ვმუშაობთ. სკოლების ნაციონალიზაციას ათას გვარი დაბრკოლება ელობება წინ. სახელმძღვანელოების მოპოება, ტერმინალოგიის შემუშავება, გაკვეთილების რიცხვის გაზრდა-გაფართოვება და სხვა, ჩვენებური სასამართლოებისათვის კი ასეთი დაბრკოლება არ არსებობს. რუსული ენის მაგივრად ქართულად დაილაპარაკე და ნალაპარაკევიც ქართულად დაწერე და მორჩა და მოისვენა, მიუცილებლად საჭიროა კომისარიატის წევრებმა ბ-ბ. კიტა აბაშიძემ და აკაკი ჩხენკელმა ამ ფრიად არა სასურველ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

**მ. ბუაჩიძე.**

## ქართული პრესა.

ყაზახთა ყრილობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი რუსეთის ყურადღება მიიპყრო. მთელი დემოკრატიული რუსეთი ილიარებს, რომ, ყრილობა მილიუკოვ—გუჩკოვ—როძიანკოების ზურგის გამამაგრებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მილიუკოვების და ძმათა მათთა იმპერიალისტური სულის კვეთება ვერ აღმოფხვრილა მარტოოდენ მათი დროებითი მთავრობის შემადგენლობიდან გაძევებით. ქართული გაზეთებიც გამოეხმაურენ ამ მოვლენას და ერთხმად ჰგმობენ იმპერიალისტების დემოკრატიის წინააღმდეგ გალაშქრებას. აირასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „საქართველო“ ყაზახთა ყრილობა აცხადებს, რომ მათ ერთი პასუხი აქვთ: „ТУПЫМЪ КОНЦОМЪ бей“.

ეს პასუხი უთუოდ ანგარიშ გასაწევი საფრთხეა რუსეთის რევოლუციისათვის და დღევანდელ რუსეთის მდგომარეობისითვის ფრიად დამაფიქრებელი. გუშინდელმა დეპეშებმა კიდეც გვაცნობეს, რომ დონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის ყაზახობამ უკვე დროებითი მთავრობას გარკვეულად აღუთქვა თავისი თავი ანარქიის მოსასპობად და რუსეთის ასახსნელად.

ყაზახობა ითხოვს, რომ რუსეთს მაგარი ხელი განაგებდეს და ეს მოთხოვნა

უთუოდ იმ მოვლენების დასაწყისია, რომელიც დიქტატურას გულისხმობს.

რუსეთის რევოლუცია საბედისწერო წამს განიცდის და სარევოლუციო დემოკრატიის გაერთიანება და განმტკიცება დღეს ხდება საჭირო ისე, როგორც არასოდეს.

## რუსული პრესა.

ტრუდოვიკების ორგანო ,,დენ''-ი დარწმუნებულია, რომ ,,მეუმრავლესენი'' იარაღს არ დაყრიან და სწერს:

,,იმ დემონსტრაციას, ბოლშევიკები რომ აწყობდნენ, ოფიციალად მშვიდობიანი დემონსტრაცია ეწოდებოდა, არა ოფიციალად ეს დემონსტრაცია, როგორც შეიარაღებული ირაზმებოდა, ხოლო ობიექტიურად ვისიმე სურვილის და მიუხედავად, ეს იყო სიგნალი სამოქალაქო ომისა, რომელსაც პეტროგრადში ნიადაგი უნდა დაემზადებია ლენინით, დიქტატურისათვის. ამ გეგმაზე ლენინელებს უარი არ უთქვამთ და არც იტყვიან, რადგანაც ეს იქნებოდა მათი თვითმკვლელობის თანაბარი მოვლენა''.

***

პლეხანოვის გაზეთი ,,ედინსტვო'' ამნაირად ახასიათებს სახელმწიფო დუმის გაუქმების ფაქტს:

,,ფაქტი დუმის გაუქმებისა აუცილებლად გააღვივებს კონტრ-რევოლუციურ ნაპერწკლებს. ამ ჟამად დუმა სუსტი იყო და ამიტომ არც აზრი ჰქონდი მასთან საბრძოლველად ძალღონის ხარჯვას. ამიტომავე მასზე გამარჯვებასაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა. დუმის გაუქმებას არ მოუტანია რევოლუციისათვის რაიმე წარმატება და ან დადებითი შედეგები. უარყოფით ნაყოფებს კი დუმის გაუქმებისას, ვგონებ, სულ მოკლე ხნის განმავლობაში ვიგემებთ''.

## რევოლუც. ამბები

(პ. დ. ს.)

### დეპეშები

დასავლეთის ასპარეზი,
მთავარ-სარდლის ცნობა.

**მინსკი**. ივნისის 18. სასწრაფო. დასავლეთ ასპარეზის მთავარ-სარდალი იტყობინება: ასპარეზის სამხრეთ დასავლეთით მტერი დავამარცხეთ. გავარღვიეთ ბრძოლის ხაზი. ასპარეზის სამხრეთ დასავლეთით წინ მოვიწევთ. დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლები, რაზედაც დამოკიდებულია რუსის ხალხისა და მისი თავისუფლების ბედი. ჩვენი ძმები სამხრეთ დასავლეთის ასპარეზით ძლევამოსილებით წინ მიიწევენ და თავის სიცოცხლეს არ ზოგავენ. ველით თქვენგან საჩქაროდ დახმარებას ჩვენს ზარბაზნების ხმას მტერი მალე გაიგონებს. მოვუწოდებ დასავლეთის ასპარეზის ჯარებს შეტევისათვის მოემზადოს, წინაალმდეგ შემთხვევაში წყევას მოგვიძღვნის რუსის ხალხი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ჩვენ დავიცავთ მათს თავისუფლებას.

ატამანის არჩევა.

**ნოვოჩერკასკი**. ივნისის 17. სამხედრო წრისაგან დონის ჯარის ატამანად არჩეულ იქნა გმირი გენერალი კალედინი მის თანაშემწედ კამენსკის გიმნაზიის დირექტორი ბოგოსლოვსკი და შტაბის უფროსად პოლკოვნიკი არკანცევი და არტილერიის გენერალი სტახოვი.

საატამანო ნიშნის ჩაბარება.

**ნოვოჩერკასკი**. ივნისის 18. ივნისის 18 დილს მოედანზე გაიმართა პარადი. მონაწილეობას ღებულობდენ ქვეითი ჯარი და კავალერია. გენერალ ვალედინს დიდის ამბით გადასცეს საატამანო ნიშანი.

მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ა.

**დვინსკი**. ივნისის 18 მანიფესტაცია მშვიდობიანად დამთავრდა. სრულს ნდობას უცხადებდენ დროებით მთავრობას. საღამოთი გაიმართა 5 მიტინგი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. ივნისის 18. მოხდა დიდი მანიფესტაცია მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების, სოციალისტურ პარტიების, პროფესიონალი კავშირის, სამხედრო ნაწილების და მოწაფეთა მონაწილეობით. უკრავდა სამხედრო მუსიკა. მანიფესტაციამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება იქონია.

# საქ. ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა საგულისხმოთ.

25 ივნის ქუთ. რეალურ სასწავლებელის შენობის დარბაზში მოხდება ეროვნულ დემოკრატიულ

## პარტიის წევრთა კრება.

კრების პროგრამა შემდეგია: მოხსენება საქართ. ეროვნ. დემ. პარტიის კონფერენციის შესახებ და რამოდენიმე საუბარი საპროგრამო კითხვებზე.

მიტინგი მოსკოვში.

**მოსკოვი**. ივნისის 18. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელმძღვანელობით დიდი მიტინგი გამართა. ამ მიტინგით ნდობა გამოეცხადა ჯარის კაცთა ყრილობას. მუშები და ჯარისკაცები დანიშნულ ადგილისკენ მიდიოდნენ. ბოლშევიკებს მიტინგის დაშლა სურდათ, მათ თავიანთი პლაკატები ააფრიალეს შემდეგი წარწერით: მოგვეცით პური. ზავი და თავისუფლებაო, ძირს 10 კაპიტალისტი მინისტრებიო, მთელი უფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებსაო. ძირს იერიშზე გადასვლის პოლიტიკაო. ხალხში მათ ცდას გასავალი არ ჰქონია.

მესტამბეების გაფიცვა.

**ჰელსინგფორსი**. ივნისის 18. დაიწყო მესტამბეების გაფიცვა. დღეს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა, გარდა რუსულისა.

## ახალი ამბავი

◆ ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა კრება. 25 ივნისს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გაიმართება ეროვნულ დემოკრ. პარტიის წევრთა კრება. კრების პროგრამა შემდეგია. მოხსენება საქართველოს ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციის შესახებ და საუბარი საპროგრამო კითხვების შესახებ.

◆ ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი. კოროლიოვი თანამდებობიდგან გადააყენეს. კანდიტატებად ასახელებენ ნაფ. ვექილს გელიაზაროს და ხარაზოვს.

◆ ქურდების ბრბო. წყალ-ვალმა უბანში აღმოაჩინეს პროფესიონალ ქურდების ბრბო. მათ ბინაზე ნახეს დიდი ძალი ნაპარევი.

◆ ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსი. პორ. ივ. ელენტი სახლის პატრონების საყურადღებოდ აცხადებს, რომ, თუ ისინი ეზოებსა და ქუჩას სახლის წინ დაუყოვნებლივ სანიტარულ მდგომარეობაში არ მოიყვანენ, მათ წინაალმდეგ სასტიკ ზომებს მიიღებს ადმინისტრატიულ წესით დასჯამდე.

◆ ჯარიდან განთავისუფლება. იმ პოლიტიკურ დამნაშავეთ, რომელნიც ამნისტიის ძალით კატორღიდან იქმნენ განთავისუფლებულნი სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით სამხედრო ბეგარა ეპატიებათ.

◆ გადასახადი სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლებულთ. ფინანსთა მინისტრმა და სპეციალისტმა პროფესორებმა ერთ თათბირზე სასურველად სცნეს, სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლებულთ განსაკუთრებული გადასახადი შეეწეროს.

◆ დაუმზადებელ ბრილიანტების გაზიდვის აკრძალვა. დროებითმა მთავრობამ განკარგულება გასცა, აიკრძალოს რუსეთიდან საზღვარ გარეთ დაუმზადებელ ბრილიანტეულობის გაზიდვა.

◆ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, კავკასიის ყოფილი მეფის ნაცვალი, ქ. იალტაში მძიმე ავად გამხდარა.

◆ შეღავათი ჯარში გასაწვევ მოწაფეთათვის. სახალხო განათლების სამინისტრომ ცირკულიარით შეატყობინა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ, რომ მან შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებლად სცნო 1917 წლის ოქტომბრამდის შეღავათი მიეცეს 1917 წლის 1 ოქტომბრამდის ახლად გასაწვევ მოწაფეებს, რომელნიც არა თუ „ნოვობრანცებად“ ითვლებიან, არამედ იმათაც, რომელთაც ჯერ კიდევ არ შესრულებიათ 24 წელი და ჩარიცხულნი არიან პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრებაში (ეგ. წოდ. რატნიკები) და წელს გაუთავებიათ საშუალო სასწავლებლები ან ოთხკლასიანი სასულიერო სემინარიები და აპირებენ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძობას. ასეთ შეღავათის მისაღებად „რატნიკებმა“ ადგილობრივ სამაზრო საბეგრო სამმართველოს უფროსს უნდა მიმართონ განცხადებით. ვინც მიცემული შეღავათით ისარგებლებს და ამა წლის 1 ოქტომბრამდის უმაღლეს სასწავლებელში არ შევა მათ დაუყოვნებლივ მიიწვევენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

◆ დეპეში. მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი სთხოვენ ქუთ. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ გაჰგზავნონ თავის წარმომადგენელი მოსკოვის მომავალ ქალაქის თვითმართველობის ყრილობაზე.

◆ ქუთაისის გარნიზონის განკარგულება. ქუთ. გარნიზონის უფროსის განკარგულებით დღეიდან ოფიცრებს და ჯარის კაცებს ეკრძალებათ ქუჩაში ,,უბართოთ'', გამოსვლა (ე. ი. მოწმობა უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი უფროსის ნებართვით არიან გამოშობილნი).

პროვინცია.

— დ. ზესთაფონი ადგილობრივმა ვაჭრებმა გადასწყვიტეს დაარსონ თავისი კავშირი.

### თფილისი.

—ახალი განკარგულება მთავრობისა. ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებამ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან: კერენსკის განკარგულება შესახებ იმისა, რომ სამხედრო მასალების დასამზადებელ ქარხნებში მომუშავე ჯარის კაცები ეხლავე გასულიყვნენ მოქმედ ჯარში, დროებითი მთავრობის მიერ შეჩერებულია; ეს განკარგულება იმ დაწესებულებსაც ეხება, რომელნიც ომის საქმეებს ემსახურებიან. ასეთი განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ დროებითი მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, სახელმწიფოს დაწესებულებათა შორის მოათავსოს ქალაქთა და ერობათა კავშირები, წითელ ჯვრის საზოგადოება და სხვა ამ გვარი ორგანიზაციებიო.

—ეგზარხოს მთავარანგელოზის ეკლესიის გარშემო. კვირას, თიბათვის 18-ს საღამოთი დეკ. თავით იაშვილთან მივიდა დეპუტაცია შვიდკაცისგან და ავლაბრის წმინდა მარინეს და მთავარ ანგელოზის ქართველ მრევლთა შემაერთებელი კრების დადგენილების თანხმად მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა იმ ინციდენტების და უსიამოვნების გამო რომლებიც მას ამ ბოლო დროს თავს გადახდა. ამ დღეს დილით მთავარ ანგელოზის ეკლესიაში მწირველი იყო ახლად დანიშნული რუსის მღვდელი: ქართველ მრევლის თხოვნით დეკ. იაშვილიც სამწირველოთ, შეიმოსა, რომ რუსის მღვდელთან ერთად ეწირნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნება არ დართო.

წირვის შემდეგ რამდენიმე ქართველმა რუს მღვდელს კერძო მღვდელმსახურების შესრულება სთხოვა, მაგრამ მან თარჯიმანის საშვალებით უარი განუცხადა ქართული მსახურების უცოდინარობისა გამო. დიდი უსიამოვნობა ჩამოვარდა წირვის გათავების შემდეგ ქართველ და რუს მრევლთა შორის იმის შესახებ, ვის უნდა ჩაბარებოდა ეკლესიის გასაღები. მოწვეულ იქმნა ადგილობრივი კომისარი, რომელმაც ორივე მხრის თანხმობით საყდრის გასაღები ნეიტრალ პირს გადასცა. ვიდრე საყდრის საკითხი გადაწყდებოდეს, საყდარი დაკეტილი იქნება.

◆ ანდრია დუღაძემ. რომელიც აგერ სამი თვეა დატუსაღებულია, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს: ტელეგრაფით თქვენდამი შუამდგომლობა ალვძარ თიბათვის 1 ს და გთხოვდით ყურადღება მოგეგცრათ ჩემი უმწეო მდგომარეობისათვის, მაგრამ რაკი აქამდის პასუხი არა მომივიდა-რა, ხელ-მეორედ გთხოვთ შემატყობინოთ: ის ბრალდება, რაც ჩემს წინაალმდეგ არის წამოყენებული, ექვემდებარება თუ არა სახელმწიფოს საერთო კანონებს, თუ ამ საქმისათვის კავკასიისავთვის ცალკე სამართალია შექმნილი. თუ ასეა, მაცნობეთ ვის კომპეტენციას უნდა მივმართო, რომ ჩემს მდგომარეობას და საქმის გამოურკვევლობას ბოლო მოეღოს და სწორი ცნობები მივიღო იმის შესახებ თუ როდის და როგორ გათავდება ეს საქმე, რადგანაც აგერ სამი თვე გადის და აქამდის არ ვიცი როდის დაიწყება ჩემი საქმის ძიება, ან არა და იქნება საერთოდ ეს ძიება თუ არა.

კავკასიის ქრონიკა.

— ინჟინერი ზაველიშინი იძულებული გახდა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება მიერთმია კომისარიატისათვის.

— ჯარში მყოფი მასწავლებლები. კავკასიის სამხედრო ცენტრის კომისია წინააღმდეგია რომ მოქმედ ჯარში მყოფი სახალხო მასწავლებლები განთავისუფლებულ იქმნან სამხედრო სამსახურიდან.

— საბჭოების გაერთიანება. თიბათვის 16-ს, მოხდა გაერთიანება კავკასიის ჯარის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თბილისის და ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის მუშათა და გლეხთა საბჭოების. ცენტრალურ საბჭოში აირჩიეს პრეზიდიუმი—თავმჯდომარეთ ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგებათ ევგ. გეგეჭკორი და დონსკოი, მდივნებათ: სახნო და ბეკზადიანი.

— სოხუმის ოლქის გამოყოფა. სოხუმის ოლქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს აცნობა, რომ იგი ეხლა პირდაპირ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ექვემდებარება.

— მთიელთა და ყაზახთა შეტაკება. სტანიცა ფელდმარშალის ყაზახებს და სურხარის მთიელებს შეტაკება მოუხდათ. ამ არა სასიამოვნო საქმის გამოსაძიებლად გაგზავნილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს კომისარი მ. ყარაულოვი. როგორც გამოძიების შემდეგ გამოირკვა საქმის ვითარება ასე ყოფილა: კაი ხანია მას აქეთ, რაც ყაზახებში არა საკადრისი ხმები დატრიალდა, ვითომ მთიელებს არ სურთ იცნონ ყაზახთა უფლებები ყაზახების მიერ დასახელებულ მიწებზე ეს ხმები ყაზახებში თანდათან ვრცელდებოდა და შიშს იწვევდა მათში თითქმის არავინ არ იცოდა ამ საზიზღარ ცილის წამებას ვინ სთესდა ყაზახებში... ყაზახებმა ანგარიში გაუწიეს ამ ხმებს და თავიანთი მიწების თავდაცვას შეუდგენ. დააწესეს დარაჯობა. თიბათვის 1-ს, დილის 9 საათზე დარაჯებმა ყაზახთა მიწაზე შეიპყრეს ორი ინგუში, რომელნიც ბალახს სჭრიდენ ყაზახების სათიბზე. იქვე იდგა ინგუშების ორი ურემი. ინგუშებს და მოდარაჯე ყაზახებს ლაპარაკი მოუვიდათ. მცირე კამათის შემდეგ ერთმა ინგუშმა იძრო ხმალი და სასიკვდილოდ დასჭრა დარაჯი და წინამძღვარი. ამის საპასუხოთ ყაზახებმა იქვე რევოლვერით მოჰკლეს ინგუში. ამ შეტაკების დროს აგრეთვე მოკლულ იქნა მეორე ინგუშიც. ეს ამბავი სისწრაფით მოედო მთელ სტანიცას, ასტყდა აურზაური იწყეს ყაზახებმა მზადება მოუყარეს თავი ყველას. ამას გარდა გზაზე მოკლული ნახეს სხვა ორი ყაზახი და ამან უფრო მოუმზადა ნიადაგი სამწუხარო შეტაკებას. ამის შემდეგ ს. სურამახში გაიმართა საჯარო კრება ყაზახთა თანდასწრებით სასიამოვნო შედეგს მიაღწიეს, მთიელებმა საჯაროდ განაცხადეს, ყაზახთა უფლებას მათ მიწებზე ვაღიარებთო.

## სათათბიროს სხდომა.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოთა რეზოლიუციის გამო.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

პეტროგრადი. ივნისის 16. სასწრაფო როძიანკოს თავმჯდომარეობით მოხდა სათათბიროს სხდომა მუშათა და ჯარის კაცთა რეზოლუციის გამო რომელიც ეხება სახელმწიფო სათათბიროს გაუქმებას. როძიანკომ წინადადება შეიტანა სხდომაზე რომ გამოტანილ იქნეს სათათბიროს რეზოლუცია, სანამ დროებით მთავრობას არ განუხილავს კითხვა სათათბიროს გაუქმების შესახებ. სათათბიროზე რეზოლუცია იქნა გამოტანილი, მაგრამ პრემიერ მინისტრმა კითხვა მოხსნა. კითხვის განხილვის დრო ჯერ არ არის დანიშნული. სახელმწიფო სათათბიროს წევრმა პეპელიაევმა განაცხადა: რუსეთის დაღუპვისაგან ხსნა გამოიხატება საჩქაროდ შეტევის დაწყებაში. ბრძოლაში მონაწილეობის მიღება ჩვენს მოვალეობას შეადგენს, რისთვისაც შულგინმა, ჩიხაევმა, დუროვმა პეიცკამ, პარეპელევმა გადასწყვიტეს ბრძოლის ველზე გამგზავროთ. (ტაში). ფრონტიდან დაბრუნებულმა [illegible]მა მოხსენება გააკეთა ფრონტზე ჯარის განწყობილების შესახებ.

შემდეგს კამათში მონაწილეობას ღებულობდნენ: [illegible] როდიჩევი. [illegible] განაცხადა: ჩვენი არსებობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამ საბედისწერო [illegible] ვდგავართ [illegible] ამბების წინაშე, [illegible] დავუჭიროთ ერთობას. ხსოვნა თებერვლის 28-სა და მარტის 1-სა რუსეთის ხალხის ისტორიაში წარუშლელად დარჩება. ჩვენ სათათბიროს წევრები უნდა დავრჩეთ დიდებულ დღეთა ერთგულებად. ჩვენ უნდა ხმა ამოვიღოთ, რომ ჩვენ, გვამოქმედებს არა კლასობრივი ინტერესი, არამედ მამულისადმი სიყვარული. ჩვენ გვაერთიანებს სამშობლოს საქმე და მისი თავისუფლება. ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ რუსეთში ახალი წესწყობილების დამყარების საქმეს. ჩვენი ვალია შევქმნათ ისეთი პირობები, სადაც ფრთებს გაშლის შემოქმედება (ტაში). როძიანკო გამოსთქვამს იმედს სათათბიროს წევრთა შორის სოლიდარული განწყობილებისას აირჩიეს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: ვერაბინინი, ხაუსტოვი და რჟევსკი, როძიანკოს წინადადებით კომიტეტის შემადგენლობა გადიდებულ იქნება. კომიტეტში შევლენ 20 მდე კაცი. დამატებით კომიტეტის წევრებად აირჩიეს ბუბლიკოვი, ევსეევი, კონოვალოვი, სავატიევი, ველიხოვი, თ. დი ვასილჩიკოვი და კონდიაკოვი.

## სომეხთა ეროვნული ბიურო.

,,გაზ. ,,ბაკუ'' № 132-ში სწერს:

,,მშაკის'' კორესპოდენტის ბაქოს სომეხთა ნაციონალურ ბიუროს შესახებ იუწყება, რომ მიმდინარე ცხოვრების ერთი საჭიროებათაგანი ამ ნაციონალურ ბიუროს რეორგანიზაცია იყოო. ამ მიზნით ბ. ტერ-მიქაელიანის მომხდარ თავმჯდომარეობით, რამდენჯერმე ბჭობამ დაადგინა ნაციონალური ბიუროს რეორგანიზაცია. ნაციონალურ ბიუროში ყველა მიმართულებათა წარმომადგენლები, რიცხვით 50, ეს 50 კაცი ნაციონალურ ბიუროს კანონმდებლობით საბჭოს შეადგენს. ამ 50 კაცში 20 უპარტიოა, 17 დაშნაკცაკანი, 7 სომხის სოც. დემ. მუშათა ორგანიზაციის წევრი და 6 ჰინჩაკისტები. სომეხთა ბიუროს 29. უპარტიოთა შორის არიან ისეთი პირები. რომელთა უპარტიობა ჯერ კიდევ საკითხია. მაგ. ტიგრან იოანნისიანი, ტიგრან ბეგზადიანი, არამ არაქელიანი, ლ. შანგი და სხვანი. საბჭომ თავის შორის 12 წევრიანი აღმასრულებელი ორგანო ამოირჩია. მათ შორის 4 უპარტიოა, 4 დაშნაკცუტუნი, 2 სომხის სოც. დემ. მუშათა ორგანიზაციის წევრი.

თავმჯდომარედ 27 ხმით ო. კარაზნუნი იქმნა არჩეული (დაშნაკცუტუნი), მის ამხანაგად ე. ტაგიანოსიან, (უპარტიო) მდივნად პიჩიკიანი (სოც. დემოკრატი).

ნაციონალური ბიურო დროებითაა ამორჩეული. მისი მიზანია, ერთის მხრივ, ადგილობრივ სომეხთა ცხოვრების მიმდინარე საჭირო საკითხების პატრონობა და, მეორე მხრით მუდმივ ნაციონალურ ბიუროს ასარჩევად მზადება. ამ დღეებში ნაციონალურ ბიუროს პირველი კრება იყო, დაადგინეს ბიუროს სახელად" სომეხთა საზოგადო და პოლიტიკურ მიმართულებათა დროებითი საბჭო უწოდონ.

აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეულია ბ. ბ. ტერ--მიქელიანი, და მის ამხანაგად ა. გიულხმნდარიან. ხმის უმრავლესობით დადგენილია, რომ კრებაზე პრესის წარმომადგენლები არ შეუშვან ცნობებს თავიანთ მოქმედების შესახებ საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტის მდივნები მიაწვდიან გაზეთებს.

## ეროვნული კითხვა.

სეკრეტარიატის დაარსება.

**კიევი**. ივნისის 18. უკრაინულ რადის ცენტრალმა კომიტეტმა დაადგინა, დაარსდეს გენერალური სეკრეტარიატი, რომელიც შინაგანსა, ფინანსიურსა, სასურსათო, მიწერისა და მიწად მოქმედებისა საქმეებს ხელმძღვანელობას გაუწევს.

ეროვნული ყრილობა.

**კიევი**. ივნისის 18. გაიხსნა უკრაინის საგუბერნიო ეროვნული ყრილობა.

# მსოფლიო ომი

პ. ღ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი**. ივნისის 18. ოფიციალი. ჩვენი ჯარი გასულ ღამით მტერზე იერიშების მიტანას განაგრძობდა მდ. სუშეს ჩრდილო ნაპირებზე ხელთ ვიგდეთ მტრის თავდასაცავი მასალები. ღამით ჩვენ მოვახდინეთ მტერზე მარჯვე თავდასხმა. წამოვიყვანეთ ტყვები არმანტიერის მახლობელი ადგილებიდან.

**პარიზი** ივნისის 18 ოფიციალი. სერნის მიდამოებში მტერი ძლიერად გვიშენდა ყუმბარებს. ღამით სროლამ მწვავე ხასიათი მიიღო. სერნის აღმოსავლეთით მტერმა სასტიკი იერიში მოიტანე ჩვენს წინააღმდეგ. მტერმა 1500 მეტრის სიგძეზე დაიკავა ორივე ნაპირი აილის გზისა. დაიკავეს ჩვენი სიმაგრეები და თხრილების ნაწილები.

არტილერია ძლიერად მოქმედებდა. ჩვენი ბატარეები მოქმედობდენ მტრის წინააღმდეგ საარტილერიო ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებდა, ფრონტის სხვადასხვა ადგილებში საარტილერიო სროლაა.

ბელგეთის ასპარეზი.

**ჰავრი**. ივნისის 18 ოფიციალი. მტერი ძლიერად გვიშენდა. მტერი შეეცადა დაახლოებოდა ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს. დღისით საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა რენინგესა და ბიერინგს შუა მდებარე ადგილებში..

## ალ. ალ. გარსევანიშვილის ლექციები.

(**ძველი სენაკი**). ამ თვის 11 სააზნაურო შკოლის დარბაზში ბ. ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია მუსიკალური დემონსტრაციისა ფინეთის კულტურის შესახებ.

ამ ქვეყნის „შესანიშნავი კულტურაო, სთქვა ლექტორმა ბუნებრივი ნაყოფია იმ ავტონომიური წეს-წყობილებისა, რომელიც აქ დაკანონდა ამ ასი წლის წინათაო. შემდეგ მან დაწვრილებით აღნიშნა ფინური ლიტერატურის აღორძინება, სწავლა-განათლების გავრცელება, ბეჭდითი სიტყვის ზრდა და მუსიკა-გალობის განვითარება. შინაარსიანმა ლექციამ მთელი აუდიტორია სმენათ გადააქცია და ამავე დროს ხალხი სტკრებოდა ფინური მელოდიების მოსმენით. ძალიან მოგვეწონა იქაური მელოდია „ლაულუ" კლეხის სიმღერა. უკანასკნელ განყოფილებაში სიმებიანმა კვარტეტმა შესადარებლად დაუკრა ჩვენებური ხალხური სიმღერებიც ჩვენს მეგრელებს, ძალიან მოგვეწონა „ორი-ოდელა. ერჯელ გაამეორებიეს კარგად დაუკრეს აგრეთვე ახალი ჰიმნი „ინტერნაციონალი".

წაკითხულ ფინურ ლექციათა შორის დიდი ალტაცება გამოიწვია რუნებერგის ლექსმა „სამშობლო მხარე" დიახ, სავსებით ვეთანხმებით უკვდავ მგოსნის მიერ მარტივად გამოთქმულ იდეას:

„ქვეყანა რომ დაიარო, გადალახო მთა და ბარი სამშობლოზე ტკბილი მხარე არსად არი, არსად არი" ამ სიტყვების გათავების უმალ იგრიალა ძლიერმა ტაშმა.

დიდ სამსახურს უწევს პატივცემული ლექტორი ჩვენ პროვინციებს მისი ლექცია ფორმით იმდენად თავისებურია, რომ მსმენელთა იტაცებს და ესტეტიურ სიამოვნებას აგრძნობინებს.

ჩვენში კარგად ცნობილმა მწერალმა კირ. წუთ-მა ლექტორს მიმართა ასეთი სიტყვებით: კერძოდ ჩვენთვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ასეთ ლექციებსაო? ბრძანეთ თქვენი დასკვნა. ლექტორმა მისცა მოკლე პასუხი: ფინეთი უავტონომიოდ სრულიად დაიღუპებოდა რუსიფიკაცია მას მოსპობდაო. და შემდეგ იგი შეეხო საქართველოს ვითარებასაც: ასი წლის წინათ ჩვენ უფრო მაღლა ვიდექით იმ დროინდელ ფინელებზეო. საქართველო იხსნაო მისმა დიადმა წარსულმა-ლიტერატურამ, კანონმდებლობამა და კულტურამო,

ლექტორის განმარტებით ხალხი კმაყოფილი დარჩა და იგი დაჯილდოებულ იქნა მხურვალე ტაშის ცემით.

ს. დ—ლია

# რუსეთი.

რუსის მანეთით ვაჭრობა ფინეთში.

როგორც „ბირჟ. ვედ." (№ 16280) გადმოგვცემს, ვიბორგში რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები, რუს მოგზაურთა ბრბოთი გარშემორტყმულნი, ახდილად ვაჭრობენ რუსული მანეთით. ყიდვა გაყიდვაში მხოლოდ თვით რუსები მონაწილეობს, ხოლო ფინელები მოშორებით ფლეგმატიურად ადევნებენ თვალ-ყურს ამ ბრბოს.

ასეთი მოვლენა ხელოვნურად ახდენს გავლენას იმ გარემოებაზე, რომ რუსული მანეთი დღე-დღეზე ჰკარგავს ფინეთში თვის ღირებულებას. ამას იმითაც ხსნიან, რომ ვილაცების ზეგავლენით ფინეთის ბანკები ზღუდვენ კერძო პირებზე ფინური ვალიუტის გამოცემას.

ვ. პურიშკევიჩის გაწბილება.

ყაზახთა ყრილობაზე ვლ. პურიშკევიჩმა განაცხადა:

„მე მაქვს დაბეჭდილი მომენტის ლიტერატურა, შესახებ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს მოქმედებისა და საჭიროა ყაზახთა შორის გავრცელდესო. ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარემ პურიშკევიჩს უთხრა. „ყაზახები ვერ იკისრებენ კონტრრევოლუციურ იდეის გაზიარებას და ამიტომ თქვენს ლიტერატურასაც ვერ მიიღებენო.

პურიშკევიჩმა ყრილობის დარბაზი დასტოვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პურიშკევიჩი ისევ მოვიდა კრებაზე და თავმჯდომარეს სთხოვა: ნება მომეცით წავიკითხო საკუთარი სტატია „წინ", რომელიც არც ერთმა სტამბამ არ დამიბეჭდა. თავმჯდომარემ პურიშკევიჩს ამ თხოვნაზეც უარი უთხრა, რის შემდეგაც მან კრება სამუდამოთ დასტოვა.

ა. ტომა რუსეთის შესახებ.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს ალბერტ ტომას შემდეგ ნაირად დაუხასიათებია რუსეთის აწინდელი პოლიტიკური მოღვაწენი. „წერეთელმა და სკობელევმა დიდი საქმე გააკეთეს. მათ შესძლეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსა და დრ. მთავრობის შორის თანამშრომლობის განმტკიცება, რადგან მათ ენდობოდა ხალხი, და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრები.

ჩხეიძის შესახებ ა. ტომა ამბობს: „იგი მეტად მოხერხებულად ხელმძღვანელობს საბჭოს თათბირებს და არც ერთ სხდომაზე უყურადღებოთ არ სტოვებს საერთო სახელმწიფოს და ეროვნულ ინტერესებს.

კერენსკი რუსის ჯარის მიმართ მოციქულის როლს ასრულებს, მას თაყვანს სცემს მთელი ჯარი და ამიტომ იგი ადვილად შესძლებს შეტევის დაწყებას. რუსეთის ჯარს საკმაოდ აქვს მჩატე არტილერია, მხოლოდ აკლია მძიმე არტილერია და ფინანსური კრიზისი უშლის ხელს.

გუჩკოვის და მილიუკოვის შესახებ ტომამ სთქვა, რომ მათ ვერ შესძლეს მომენტის შესაფერად მოღვაწეობა და პოლიტიკურ მდგომარეობის მიმართ თავის პირად შეხედულობით მოქმედებდენო.

პროვინციის მდგომარეობა.

გაზ. „ნოვაია ჟიზნი" სწერს: „ტომსკის გუბერნიიდან დამაფიქრებელი ამბები მოგვდის. ჯერ ერთი, რომ ხალხი არ მუშაობს, მეორე კიდევ განუწყვეტლივ გვალვებია, რაც მიწის დამუშავებას შეუძლებელს ჰყოფს ეს მხარე უთუოდ შიმშილის მსხვერპლი გახდება".

ასეთივე ცნობა მოდის ურალის მხრიდან.

ჰირნახულის მოსავალი ნახევარზე ნაკლებია, სიძვირე აუტანელი, პირველ საჭიროების საგნები სრულებით მოისპო. ხალხში იზრდება უკმაყოფილება და მღელვარება. გახშირდა ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები.

ძარცვა გლეჯა.

ქ. ბიისკში გაძარცვეს რუსეთ-აზიის ბანკი. წაიღეს 100,000 მან. მძარცველებმა განაცხადეს, რომ ისინი არიან ანარქისტები და მოვიდენ „ბურჟუების" დასაძარცვავათ.

მოსკოვში შეცვინდენ საზიკოვის ოქრომჭედლობის მაღაზიაში და გაიტაცეს 70,000 მან. ოქრო.

ჟურნალისტები — პროვოკატორები.

„რუს. სლოვო" და „უტრო როს" თანამშრომლები ბრუტი და ეგისენი პროვოკატორები ყოფილან.

ბიუჯეტის შემცირება.

სახელმწიფოს კონტროლიორი გოდნევი მოითხოვს, რომ ფინანსურ კრიზისის გამო სახელმწიფოს ბიუჯეტი შემცირებულ იქმნას.

ა ნ ა რ ქ ი ა.

რუსეთის ქალაქებში ხალხი დიდ თანაგრძნობას უცხადებს კადეტების წარმომადგენლებს და მათ ავალებს რთულ მომენტის გარკვევას.

ქარხნების კრიზისი.

ურალის ქარხნები, რომლებიც ხე-ტყის დასამზადებლად მუშაობენ, დიდ კრიზისს განიცდიან, რადგან მუშები უარს ამბობენ მუშაობაზე.

ამერიკა რუსეთის ეხმარება.

ამერიკის მისია რუსეთის დრ. მთავრობას ატყობინებს, რომ ამერიკა მზად არის ფულით დაეხმაროს, რათა რუსეთმა შინაური ანარქია მოსპოს.

ა ნ ა რ ქ ი ა.

რუსეთის ბევრ ქალაქებში ანარქია გამეფდა. „რუსკ. სლოვო"-ს გადმოცემით ბუტირის ციხეში მოხდა აჯანყება, ტუსაღები გაიქცენ და ქალაქის ძარცვა დაიწყეს. ოგრევის მაზრაში ჯარის-კაცებმა დაამტვრიეს დუქნები და დახოცეს ქალები, კიევში ჯარის-კაცები გარს შემოერტყენ ქალაქის აღმ. კომიტეტს სხდომის დროს და მოსთხოვეს ფული და ჯარისკაცებმა აღმ. კომიტეტის კრება გარეკეს. შლისელბურგში თოფის წამლის საწყობებს ცეცხლი გაუჩინეს. ზარალი დიდია. ოდესაში ბრძოლის ველზე მიმავალმა ჯარის-კაცებმა ქუჩებში გააჩერეს ყველა გამვლელ-გამომვლელი და ბრძოლის ველზე მიერეკებოდენ. პუტილოვის ქარხნის მუშებმა ახალი მოთხოვნილება წამოაყენეს, რომელიც 3 მილიონ მანეთს უდრის.

## მცირე განმარტება.

ჩვენი გაზეთის 52 ნუმერში მოთავსებული იყო ცნობა ქუთ. აღმ. კომიტეტისა, რომელიც ეხებოდა სოფ. ტობანიერში ბ-ნ ტარასი ალფაიძის დატუსაღებას. ბ-ნმა ალფაიძემ რედაქციას წერილი გამოუგზავნა, სადაც პასუხისგებაში იწვევს ხსენებულ ცნობის ავტორს. რედაქცია ბ-ნ ალფაიძის საყურადღებოთ აცხადებს, რომ ცნობა ქუთ. აღმ. კომიტეტისაგან არის მიღებული, და პასუხიც იქ უნდა მოითხოვოს.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. სასურსათო განყოფილების მოლარეს, ბ-ნ ავალიანს.

ამას წინად თ. კუჭავას საკანდიტეროში თქვენ შემობრძანდით და მოსამსახურე ქალს უთხარით, 4 გირვანქა ფრანგული ბულკი ამიწონეო. რადგან საკანდიტეროს პატრონისაგან მოსამსახურე ქალს ნათქვამი ქონდა, რომ ბულკი ორ გირვანქაზე მეტი არავისთვის მიეცა, ამიტომ თქვენ ვერ მოგცათ 4 გირვანქა. თქვენ მოსამსახურეს დაემუქრეთ, რომ სასურსათო კომიტეტში ფქვილს და შაქარს არ მისცემდით, რაც სისრულეში მოიყვანეთ კიდეც. ამას წინად მე სასურსათო განყოფილებაში მოველი ფქვილის და შაქრის მისაღებად.

თქვენ წაიკითხეთ თუ არა „ორდერზე" კუჭავას გვარი, იმ წამსვე ბარათი განზე გადასდევით და შეუდგით ჩემს შემდეგ მოსულთა დაკმაყოფილებას. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ საზოგადოებრივ თანამდებობას ასრულებთ.

მაშასადამე, მაგ საქმეში პირადულ ინტერესით ხელმძღვანელობას ადგილი არ უნდა ქონდეს. თქვენ მე ფქვილი არ მომეცით და ამის გამო ჩემს საკანდიტეროში მცხოვრებთათვის საჭირო ბულკი ვერ გამოვაცხვე. ძველი რეჟიმის დროს ვსწყევლიდით კერძო ინტერესებით მომქმედ ბატონ-პატრონებს და დღეს, როდესაც ვიძახით, ხალხმა გაიმარჯვა, ქვეყნად სამართლიანობა დამყარდაო, შეუფერებელია, რომ ასეთ მოვლენებს ადგილი ექნეს.

მ. რუსიეიშვილი.

## შემოწირულება

აკაკის სახელობის წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ მწვანე ყვავილაში.

(დასასრული, იხ. ჩვ. ქვ. № 68)

ანტ. ახვლედიანი 1 მ. 30 კ., კოწია მესხი 1 მ. 75 კ., „ტრახტირში" შეგროვდა 6 მ. 50 კ., აფ. გიგნაძე 60 კ., ხ. თოფჩიაშვილი 55 კ., ს. გიგინეიშვილი 55 კ., მოშიაშვილი, ცინცაძე და ჩიხლაძე 50 კ.,

**ცხრა-ცხრა შაური**: ალ. მშველიძე, ის. ხაზარაძე, გ. იაკობიშვილი, ფიჩხაძე, ია. ფოფხაძე და მოშე მოძღვრიშვილი, დავით ხარდავა, ილია ციციაშვილი.

**ორ-ორი აბაზი**: ვას. გუგუნავა, ვარ. არსენიძე, ანთ. სვანაძე, ს. ხანანაშვილი, ა. თოფჩიაშვილი, ბეს. ახვლედიანი, დან. იაკობიშვილი, ერ. მაღლაკელიძე,

**შვიდ-შვიდი შაური**: თეთრუაშვილი, №№, ავთ. ამბროლაძე, დიმ. გოხიძე, ნინო მოსიძისა.

**ექვს-ექვსი შაური**: დეს. იყრეშიძისა, დავ. სოფრომაძე, გიორ. გოგინოვი, ზაქრო კარტამოვი, ი. თოფჩიაშვილი, ს. თოფჩიაშვილი, მ. ფიჩხაძე, დ. სახასიშვილი, ელიგულაშვილი, ესტ. მებუკე, ლადიმერ გორგუა, დან. ფიჩხაძე, მიხ. მირიანოვი, თოდუა.

**ხუთ-ხუთი შაური**: კანდელაკი, სონა პალიევა, გრ. ქათამაძე, სერ. სარქისოვი, საშა ცერცვაძე, პაპისოვი, თოფჩიაშვილი, ფიჩხაძე, ელიგულაშვილი, ბუზიაშვილი, მ. ფიჩხაძე, ვ. ფიჩხაძე, ე. კაკიტელაშვილი, გ. ენუქაშვილი, კოსტა აბაკელია, წყალობა როსტომოვი.

**თითო აბაზი**: შალომ ბინიაურიშვილი, რიბკა ბინიაურიშვილი, ისხაკ კაკიტელაშვილი, პასიკო პერევანეზოვი, იოსებ ფიჩხაძე, ისრაილ იაყობიშვილი, ივანე მანაგაძე, სერგო მშველიძე, აპოლონ ტყეშელიძე, ივანე ბუაძე, თეო ზაქარაშვილი, პელაგო დოლიძე, კოსტა ბაკურაძე, ლიზა მამრიკიშვილი, გიგო სულაქველიძე, სოგ. მამრიკიშვილი, ნატ. წივნაძე, ილარიონ გვეტაძე, ლუკა გვეტაძე, მარიამ ვარდანიძე, მეგრელიშვილი, აღათი ბასილაია, ვასილ ბერეკაშვილი, ანთიმოზ ბაბუხადია, პორფილე მაღლაფერიძე, ბაგრატ კოლუაშვილი, სამსონ გაჩელაშვილი, მარიამ ლომთაძე, ს. ფიჩხაძე, ი. იაყობიშვილი, ა. ხანანაშვილი, ი. ქვიტიაშვილი. ი. იაყობიშვილი, ი. ფიჩხაძე, რ. ფიჩხაძე, მ. იაყობიშვილი, კ. იოსებაშვილი, ბ. დავითიაშვილი, მ. თარონიშვილი, მაწკეპლაშვილი, ენუქაშვილი, მ. იაყობიშვილი, მ. ჩიკვაშვილი, შ. ხანანაშვილი, ს. ხანანაშვილი, დ. ფიჩხაძე, რ. თარონიშვილი, მ. ხანანაშვილი, ვინცხა, იაკობიშვილი, ჩახუაშვილი, დ. ხანანაშვილი, ს. ქებულაძე, ლ. იაყობიშვილი, ა. იაყობიშვილი, მ. ჩიკვაშვილი, გიორგი რონინიშვილი, გრ. ამირალოვი, ვ. ლორთქიფანიძე, მიხეილ კალატოზოვი, ბ. შელიავა, ბახვა კანდელაკიშვილი, ილია აბაიში, რომანოზ ჩაკვეტაძე, სამსონ ძოწენიძე, დავით თავდიდიშვილი, ბეჟან მღებროვი, ვლადიმერ ნიკურაძე, პალიევი, ალექსანდრე ფხაკაძე.

**სამ-სამი შაური**: სარაშვილი, ნ. ჩიკვაშვილი, ე. მოშიაშვილი, მ. ციციაშვილი, რ. იაყობიშვილი, მ. შამლიკაშვილი, №№, შ. იაყობიშვილი, თეთრუაშვილი, რიჰკა იაყობიშვილი, მარდარიაშვილი, გიორგი კეთილაძე, მოსე იყრეშიძე, ირაკლი ჩხიკვაძე, დარჩია ხოტოველი, მარკოზ აბესაძე, სარრა მეგრელიშვილი, სარრა სოფიაშვილი, აბრამ მეგრელიშვილი, მეირ ელუაშვილი, აბეშა ფიჩხაძე, მიხო სოფიაშვილი, მოშე ხოტოველი, ისხაკ ნანიკაშვილი.

**ორ-ორი შაური**: ლიზა ფიჩხაძე, ჩავა მოწონაშვილი, ელო ფიჩხაძე, ვასილ ბოჭორიშვილი, დესპინე არსენიძე, ვასო კოკოჩაშვილი, რიჟინაშვილი, ჩიკვაშვილი, ს, დავითიაშვილი, ი. ჩიკვაშვილი, დავითიაშვილი, რ. თარონიშვილი, ბინიაურიშვილი, ისთერ რიჟინაშვილი, ფიჩხაძე, №№, ნ. მეგრელიშვილი, ი. თოფჩიაშვილი, ტარასი მელენიძე, ბიქტორ მარუაშვილი ბარბალე ძოწენიძე.

ზემოდასახლებულ პირებთან ერთად სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი დიდ მადლობას სწირავს ყველას, ვინც ამ ერთვიური დახმარების შეკრება იკისრა.

ფულს გარდა შემოსწირეს ნივთები: მწვანეყვავილის მოსწავლე ახალგაზრდობამ აკაკის დიდი სურათი ჩარჩოში ღირებული 25 მან., კ. [illegible] წიგნები 7 მ. 40 კ., ს. გოგიბერიძემ საკანცელარიო ნივთები 7 მ. 65 კ., თ. [illegible]შვილმა წიგნები 3 მ. 60 კ., გალუსტოვმა წიგნები 2 მ., [illegible] წიგნები 7 მ., [illegible] წიგნები 5 მ., ივ. მამაჯანოვმა სურათი 1 მ., ივანე კილაძემ დაგვიბეჭდა სადარბაზო ბარათები უსასყიდლოთ. „ძმობის" სტამბის პატრონმა კოტე კეჭაყმაძემ უსასყიდლოთ დაგვიბეჭდა ბილეთები და აფიშები.

დიდ მადლობას სწირავს სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი ქ. ქ. ალექსანდრა და ესწა ქეიშვილის და ოლია ჯავახაძის ასულთ, რომელთაც ითავეს და დიმიტრი ქეიშვილის ეზოში 28 ს გამართეს ლატარია სამკითხველოს სასარგებლოთ. გადმოგვცეს წმიდა მოგება 186 მ. 74 კაპ.

მადლობას ვწირავთ მწვანეყვავილის ახალგაზრდობას, რომელმაც სამკითხველოს სასარგებლოთ აკაკის დაბადების საზეიმო საღამო მოაწყო ადგილობრივათ და გადმოგვცა წმიდა მოგება 262 მ. 40 კ.

მადლობას ვწირავთ თვიურ წევრებს, რომელთაც კეთილინებეს და თვიური დახმარება აღგვითქვეს. მადლობას ვწირავთ ჟურნალ-გაზეთების თავის ხარჯზე გამომწერთ.

მალე სამკითხველოს საკუთარი ბინის აგებას შევუდგებით და იმედია ყველა ჩვენი მოკეთე დახმარებას გაგვიწევს.

მწვანეყვავილის, აკაკის სახელობის, უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს

მზრუნველი კომიტეტი.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.


## ექიმები:

**ზ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში მესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4


## რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან საავარაკო | დღის | 2 ს. 48 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |
| ბათუმისაკენ საავარაკო | დღის | 3 ს. 16 | წ. |


### თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

**განცხადება.**

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია „**ჩვენი ახალი მწერლობა**", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა „**ია ეკალაძე. მოთხრობები**", წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.


სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში